



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მესამე შუალედურ ანგარიშს აქვეყნებს

2010 წლის 25 მაისი

თბილისი, საქართველო – დღეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენების მონიტორინგის მესამე შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა. ეს ანგარიში 2010 წლის 5 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდს მოიცავს და ყურადღებას ადმინისტრაციული რესურსების სამ სახეობაზე ამახვილებს. ესენია: ხისტი, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ რეგიონული კოორდინატორების და სხვა რეგიონული კონტაქტების, ჟურნალისტების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, საჯარო მოხელეების და პარტიების აქტივისტების მიერ არის მოწოდებული. თითოეული ფაქტი რამდენიმე წყაროსთანაა გადამოწმებული.

ამ საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით ხშირი წინასაარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეებისა და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობა იყო. საჯარო მოხელეები ავიტაციას სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ეწეოდნენ, რაც საარჩევნო კოდექსით აკრძალულია. ძალოვანი უწყებების თანამშრომლებს კი საერთოდ არა აქვთ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების – გურიანთის, მერიისა და ოზურგეთის რწმუნებულები სამუშაო კაბინეტებს წინასაარჩევნო შტაბებად იყენებენ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საავტოცო მასალა და მხარდამჭერთა სიები მათი სამუშაო ოთახების შემადგენელი ნაწილია, რასაც არც მალავენ. „მე ხელისუფლების წარმომადგენელი ვარ და შეიდიანები ხომ არ მექნება [კაბინეტში]?!“ – განაცხადა სოფელ ოზურგეთის რწმუნებულმა გრიგოლ ჩხაიძემ.

ამავე სოფლის საბავშვო ბაღის გამგე, მადლენა ანდლულაძე ბაღის შენობაზე მხოლოდ მმართველი პარტიის პლაკატების გაკვრას მარტივად ხსნის: „ბაღს ყველაფერი „ნაციონალებმა“ გაუკეთეს და ახლაც ისინი ამარაგებენ სხვადასხვა პროდუქტით“. ბაღის გამგე მის კაბინეტსა და ბაღის შესასვლელში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებსაც მმართველი პარტიის დამსახურებად მიიჩნევს.



„დიან, ნაციონალური მოძრაობა, გამგეობა და ჩვენ ყველა ერთად ვართ შეკრული,“ – განმარტა მან.

მსგავსი დარღვევები დაფიქსირდა გორის რაიონსა და მის სოფლებში, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში, ყვარელში, ოზურგეთში და გურჯაანში.

მესტიაში, ყვარლის რაიონის სოფელ ქვემო ომალოში, ოზურგეთის რაიონის რამდენიმე სოფელში და კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში ადგილი ჰქონდა ამომრჩევლების მოსყიდვის ფაქტებს.

ხარაგაულში ბლოკის „ალიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენლებზე ზეწოლის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. ხარაგაულის რაიონის სოფელ ვახანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ამავე სოფლის რწმუნებულმა სამსახურიდან დაითხოვა. ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა კი ზეწოლა განახორციელა ამავე სკოლის მასწავლებელზე, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრზე ბლოკიდან „ალიანსი საქართველოსთვის“.

სამომავლო საქმიანობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ განაგრძობს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს და არჩევნებამდე კიდევ ერთ შუალედურ ანგარიშს გამოაქვეყნებს. არჩევნების შემდეგ ორგანიზაცია გამოაქვეყნებს საბოლოო ანგარიშს, რომელშიც ასახული იქნება მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ყველა დარღვევა და ხარვეზი, და წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები მომავალში მათი პრევენციისათვის.

*საკონტაქტო პირი: ნინა ხატიასკაცი, პროგრამების დირექტორი – 877 92 06 00
თამუნა ქაროსანიძე, მედია ცენტრის კოორდინატორი – 877 71 91 07*

ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (USAID) მხარდაჭერით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიერ გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

